ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.12.2015

საჩივრის რეგისტრაციის №098/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 28 დეკემბერს ს.ს.ი.პ „ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას“ საჩივრით მომართა ლ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ურთიერთობა ადვოკატთან დაიწყო 2014 წელს. მან ადვოკატი შემთხვევით გაიცნო ახლობლის ხ-მ კ.-ს სახლში სტუმრობისას, სადაც შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი იქნებოდა მისი წარმომადგენელი ხაშურის რაიონულ სასამართლოში, სამოქალაქო დავაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა 2015 წლის 08 იანვარს ხაშურის რაიონულ სასამართლოში მის სამოქალაქო დავაზე შეიტანა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა. კანონით

გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ადვოკატმა არ შეიტანა განცხადება მისი განახლების შესახებ, შესაბამისად მას დამოუკიდებლად მოუწია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განახლება, რისთვისაც დამატებით გადაიხადა თანხა 50 (ორმოცდაათი) ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს გადაუხადა მომსახურების საფასური 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, საიდანაც ადვოკატმა უკან დაუბრუნა 100 (ასი) ლარი იმის გათვალისწინებით, რომ იგი არის სოციალურად დაუცველი, პენსიონერი. კლიენტი ადვოკატს უხდიდა მგზავრობის ხარჯებსაც.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ განუხილველი დატოვა სააპელაციო საჩივარი, რადგან არც აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი 2015 წლის 02 დეკემბერს სხდომაზე არ გამოცხადდნენ.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მოსამართლის თანაშემწისაგან შეიტყო, რომ ადვოკატს ეცნობა სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღი - 2015 წლის 02 დეკემბერი. ადვოკატი 2015 წლის 27 ოქტომბერს გამოცხადდა სასამართლოში და მოითხოვა საქმის მასალების გაცნობა. მას შემდეგ იგი კლიენტს აღარ უნახავს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არაერთხელ სცადა ადვოკატთან დაკავშირება (მათ შორის ხ-მ კ.-ს საშუალებითაც), მაგრამ ადვოკატი მის ზარებს არ პასუხობდა. იგი 2015 წლის 03 დეკემბერს მივიდა სააპელაციო სასამართლოში, საიდანაც გაიგო რომ მისი საქმის განხილვა ჩანიშნული იყო წინა დღეს - 02 დეკემბერს და სასამართლომ საჩივარი განუხილველად დატოვა, სხდომაზე გამოუცხადებლობის საფუძვლით.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისთვის ადვოკატისათვის არ ჰქონდა ჰონორარი გადახდილი, თუმცა ადვოკატს არ გაუფრთხილებია, რომ ვეღარ შეძლებდა მის საქმეზე მუშაობას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. ბ.-მ ლ. გ.-ს 2015 წლის 28 დეკემბრის საჩივართან დაკავშირებით წერილობითი განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 06 მაისს, სადაც განმარატა, რომ მინდობილობის საფუძველზე ახორციელებდა მომჩივანის წარმომადგენლობას ხაშურის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა მის კლიენტსა და მოპასუხე მხარეს შორის დადებული გარიგების ბათილად ცნობა, ლ. გ.-სა და მოპასუხეს შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა და მოპასუხისათვის თანხის დაკისრება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მისი კლიენტის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს დაავალა ძირი თანხის 2750 (ორი ათას შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარის, სარგებლის 10% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე, ადვოკატის, სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების გადახდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან ნაწილობრივ გაასაჩივრა ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 თებერვლის N2/399-2014 გადაწყვეტილება და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მას უნდოდა მტკიცებულებების მოპოვება სააპელაციო სასამართლოში კლიენტისათვის სასურველი შედეგის მისაღებად, ამიტომ ის ჩავიდა გორში, რათა პირადად ენახა ფლობდა თუ არა მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე ავტომანქანას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტმა გადასცა მომსახურების თანხა 300 (სამასი) ლარის ოდენობით და დანარჩენი თანხა უნდა გადაეხადა ეტაპობრივად, სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ. ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საადვოკატო მომსახურების გასამრჯელოს გადაუხდელობის შემთხვევაში, ის მისი საქმის წარმოებას არ განაგრძობდა. კლიენტმა მას განუცხადა, რომ სააპელაციო სასამართლოში მივიდოდა თავად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ბ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ლ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2015 წლის 28 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი არ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში ჩანიშნულ სხდომაზე და არც მას აცნობა სხდომის თარიღი, ასევე ის არ პასუხობდა მის ზარებს.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე

მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

5.2.3 ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. ურთიერთობის დაწყებისას მხარეები უნდა შეთანხმდნენ მათთვის მისაღებ ისეთ კომუნიკაციის ფორმაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია.

5.4 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“

5.5 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული''.

5.6 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ი. ბ.-ს შორის გაფორმდა მინდობილობა, რომლითაც ადვოკატმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა ლ. გ.-ს სამოქალაქო საქმე სასამართლოში. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ი. ბ.-მ ლ. გ.-ს სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს სარჩელით მიმართა 2014 წლის 10 დეკემბერს. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომებში (2015 წლის 28 იანვრის მოსამზადებელი სხდომის ოქმი საქმეზე NX-XXX-2014; 2015 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი საქმეზე NX-XXX-2014). საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. გ.-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

5.7 ადვოკატი ლეგა ნელაშვილის საქმეზე მონაწილეობას იღებდა სააპელაციო სასამართლოშიც, კერძოდ: ადვოკატმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2015 წლის 18 მარტს, რომლზეც 2015 წლის 15 აპრილს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის თანხის გადაუხდელობის გამო. ადვოკატმა ი. ბ.-მ 2015 წლის 04 მაისს ხარვეზი შეავსო. სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 11 მაისს მიიღო განჩინება საქმეზე N2ბ/XXXX-15 სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. ადვოკატი ცდილობდა ლ. გ.-ს საქმეზე მოეპოვებინა მტკიცებულებები, საქმეში წარმოდგენილია მომჩივან ლ. გ.-ს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მ. მ.-ს განცხადება, რომლითაც ის

მიმართავს გორის რაიონულ სამმართველოს და უთითებს, რომ მის სახლში გორში 2 ჯერ იყო მისული ადვოკატი ი. ბ. იმის გასარკვევად, თუ სად იმყოფებოდა მისი ავტომანქანა. სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ჩანიშნა საქმის განხილვა 2015 წლის 16 ოქტომბერს. სასამართლომ სხდომაზე დაბარების უწყება გაუგზავნა უშუალოდ ლ. გ.-სა და მის წარმომადგენელს ადვოკატ ი. ბ.-ს. აღნიშნული სხდომა არ ჩატარდა და გადაიდო 2015 წლის 02 დეკემბერს. საქმეში წარმოდგენილია მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტი ტელეფონით შეტყობინების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ მან ადვოკატ ი. ბ.-ს აცნობა სასამართლოს სხდომის თარიღი, 2015 წლის 02 დეკემბერი. სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი ლ. გ., რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

5.8 საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მას არ აცნობა და არც თავად გამოცხადდა 2015 წლის 02 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. მხარეებს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ დადებულია ზეპირი ფორმით. შესაბამისად, კოლეგიას არ აქვს დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად იქნებოდა გაწერილი საქმის წარმოების რა ეტაპზე უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება ადვოკატ ი. ბ.-ს კლიენტისათვის. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტი იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ თუ არ გადაუხდიდა ჰონორარს, მის მომსახურებას ვერ განაგრძობდა და მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდებოდა. საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარში ადასტურებს, რომ მან ადვოკატს მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობისას ჰონორარი ვერ გადაუხადა.

5.9 კოლეგიამ შეაფასა საკითხი, თუ რამდენად დაიცვა ადვოკატმა ი. ბ.-მ საქმეზე უარის თქმის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი წესი. კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო ურთიერთობის ორივე მხარეს უფლება აქვთ უარი თქვან ხელშეკრულებაზე, თუმცა ადვოკატმა კლიენტის მომსახურებაზე უარი არ უნდა თქვას ისეთ ვითარებაში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით. კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ კლიენტმა ადვოკატს გადასცა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი მომსახურებისათვის შეთანხმებული ჰონორარი. ამის მიუხედავად, ადვოკატმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თუ საადვოკატო მომსახურების თანხას არ გადაუხდიდა, ის მის მომსახურებას არ გააგრძელებდა. კომისიას დადგენილად მიაჩნია, რომ სასამართლომ სხდომის თარიღი აცნობა ადვოკატ ი. ბ.-ს, რომელსაც მიუხედავად კლიენტთან ხელშეკრულების შეწყვეტისა, ეკისრებოდა ვალდებულება სხდომის თარიღი ეცნობებინა კლიენტისათვის ან სასამართლოსათვის წარედგინა დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ის აღარ იყო ლ. გ.-ს წარმომადგენელი და მისთვის მიწოდებული ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ არ ჩათვლილიყო აპელანტი მხარისათვის ინფორმაციის ჯეროვნად მიწოდებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების თანახმად. ადვოკატი განმარტავს, რომ მან ეს ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა. კოლეგიის შეფასებით, ლ. გ.-ს სააპელაციო საჩივრის შეტანიდან სასამართლოს სხდომის ჩანიშვნამდე ჰქონდა გონივრული ვადა, რომ ესარგებლა სხვა ადვოკატის მომსახურებით ან თავისი საქმე თავად ეწარმოებინა, მაგრამ ის მაინც უსაფუძვლოდ იმედოვნებდა ადვოკატის მიერ მისი საქმის ბოლომდე

მიყვანას. შედეგად, სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, ლ. გ.-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

5.10 კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ის სავარაუდო ზიანი, რომელიც მომჩივანს მიადგა სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შედეგად, ადვოკატის ბრალეული ქმედებით გამოწვეული არ ყოფილა. კლიენტს არ შეიძლებოდა შექმნოდა გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ გააგრძელებდა მის მომსახურებას, შესაბამისად, ადვოკატ ი. ბ.-ს არ დაურღვევია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები და მის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 და მე–7 ნაწილებით, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით; 32–ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №098/15 ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/